

## უგულავა საქართველოს წინააღმდეგ

(UGULAVA v. GEORGIA)

საჩივარი No 5432/15

გადაწყვეტილება

9 თებერვალი, 2023

### ფაქტები

მომჩივანი, გიორგი უგულავა საქართველოს მოქალაქეა. ის 1975 წელს დაიბადა. საჩივრის წარდგენის დროს იმყოფებოდა პატიმრობაში ქალაქ თბილისში.

ბ-ნი უგულავა ყოფილი მმართველი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამასთან, ის იყო ქ. თბილისის მერი 2005-2013 წლებში.

2012-2015 წლებში ბ-ნი უგულავას მიმართ დაიწყო ხუთი სხვადასხვა გამოძიება, რომლის საფუძველზე ბრალი წაუყენეს ფინანსური დანაშაულების ჩადენის გამო. კერძოდ, მითვისება-გაფლანგვის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და ფულის გათეთრების საფუძველზე. მას ბრალი წაუყენეს იმ ქმედებებისთვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კერძო კომპანიებში, რომლებიც ეკუთვნოდა თბილისის მერიის სამსახურს, ან ფონდს, რომელიც ამავე სამსახურის მიერ იყო დაარსებული.

2014 წლის 5 ივნისს ბ-ნი უგულავას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ოფშორულ კომპანიებში ფულის გათეთრების ბრალდებით და მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციონირების შემაფერხებელი ძალადობრივი ინციდენტის გამო.

საქმის ერთ-ერთი მოწმე მოგვიანებით ამტკიცებდა, რომ მას მომჩივანი ემუქრებოდა. ბ-ნი უგულავა 2014 წლის 3 ივლისს თვითმფრინავში ასვლის დროს დააკავეს, რომელიც კიევის მიმართულებით უნდა გაფრენილიყო (ის ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია დაგეგმილი მგზავრობის შესახებ). მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი თვითმფრინავით კიევში გამგზავრება სარისკოდ მიიჩნია.

2014 წლის 28 ივლისს ბ-ნი უგულავას ბრალი წაუყენეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თანხის გაფლანგვასა და ფულის გათეთრებაში, ტელეკომპანია იმედთან და შპს Lynx-თან დაკავშირებით. 2015 წლის 15 მარტს, მას წინასწარი პატიმრობის ახალი ვადა შეეფარდა, რადგან არსებობდა გამოძიებისთვის ხელის შეშლის, მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის, და მიმალვის საფრთხე მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი უგულავას უკვე ჰქონდა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი გატარებული პატიმრობაში 2014 წლის 5 ივნისის სისხლის სამართლის სამართალწარმოების ფარგლებში.

ბ-მა უგულავამ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი 2015 წლის აპრილში შეიტანა, რის შედეგად, იგი იმავე წლის სექტემბერში გაათავისუფლეს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 პუნქტის ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ელ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით, რადგან ის იძლევა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირის დაპატიმრების შესაძლებლობას, თუ იმ დროს, იმ საქმეზე რომელზეც მას ბრალი წარედგინება ან არსებობს საკმარისი საფუძველი მის დასაკავებლად, მას უკვე გატარებული აქვს 9 თვე (წინასწარი პატიმრობის ვადა) სხვა მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლისსამართლის საქმის ფარგლებში“.

მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-18 მუხლებზე დაყრდნობით (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები), ბ-ნი უგულავა დავობდა, რომ მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა ეწინააღმდეგებოდა კანონს და რომ არ ყოფილა განსაზღვრული მისი დაპატიმრების მიზეზები. ამასთან, ამტკიცებდა, რომ წინასწარი პატიმრობის მიზანი მისთვის პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლა იყო.

#### **I) კონვენციის მე-5 § 1 მუხლის საგარაუდო დარღვევა**

მომჩივანი დავობდა, რომ მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა 2014 წლის 3 ივლისს და 2015 წლის 17 სექტემბერს ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და თვითნებური იყო.

#### **(ა) სასამართლოს შეფასება**

##### **(I) ზოგადი პრინციპები**

66. სასამართლომ კონვენციის მე-5 § 1 მუხლთან დაკავშირებული რელევანტური ზოგადი პრინციპები შეაჯამა საქმეებში *S., V. and A. v. Denmark* ([GC], nos. 35553/12 and 2 others, §§ 73-77, 22 ოქტომბერი 2018; იხილეთ ასევე *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, §§ 222-25, ნოემბერი 2017; *Magnitskiy and Others v. Russia*, nos. 32631/09 and 53799/12, §§ 198-200, 27 აგვისტო 2019; და *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], no. 14305/17, §§ 311-21, 22 დეკემბერი 2020).

##### **(II) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში**

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ განუცხადებია, რომ მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა, რომლის საფუძველზეც მას ბრალად ედებოდა იმ დანაშაულების ჩადენა, რომელთა გამოც პატიმრობაში იმყოფებოდა არ ეფუძნებოდა გონივრულ ეჭვს, და რომ მთავრობის მიერ წარდგენილ იქნა ყველა ის საბრალდებო მასალა, რომელიც მოპოვებულ იქნა მათ მიერ მომჩივნის დაკავებამდე. წარმოდგენილ მასალაში არაფერი აყენებს ეჭვქვეშ მომჩივნის მიმართ გონივრული ეჭვის არსებობას, არც ფაქტების და არც სისხლის სამართლის კანონმდებლობის კუთხით (იხილეთ *Merabishvili* ციტირებულია ზემოთ, § 187, შემდგომი მითითებით). ამდენად, სასამართლო იზიარებს პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მასალას, რომელსაც დაყრდნო თბილისის საქალაქო სასამართლო მომჩივნის დაკავების და წინასწარი

პატიმრობის შეფარდების დროს, საკმარისი იყო ობიექტური დამკვირვებლის დასარწმუნებლად, რომ მას შეეძლო იმ დანაშაულების ჩადენა, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ედებოდა. მეტიც, მიზნად ისახავდა მომჩივნის უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენას, რაც მეორე დღესვე განხორციელდა (იხ. პუნქტები 27 და 29 ზემოთ).

68. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა დაკავება „კანონიერი“ და „კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი“ სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია თუ არსებობს პირის მიმალვის საფრთხე (იხ. პარაგრაფი 51 ზემოთ). იმის მხედველობაში მიღებით, რომ მომჩივანი დააკავეს აეროპორტში, კიევის მიმართულებით გამგზავრების მცდელობის დროს, სასამართლო რელევანტურად მიიჩნევს მთვარობის პოზიციას, რომ არსებობდა ამდაგვარი გონივრული საფრთხე (შეადარეთ *Magnitskiy and Others*, ციტირებულია ზემოთ, § 202, და განასხვავეთ *Korban v. Ukraine*, no. 26744/16, §§ 146-48, 4 July 2019). მეორე დღეს, იმის განსაზღვრისას უნდა შეფარდებოდა თუ არა მომჩივანს წინასწარ პატიმრობა, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მართალია მოკლედ, მაგრამ მაინც იმსჯელა მომჩივნის დაკავების კანონიერებაზე (იხილეთ პარაგრაფი 29 ზემოთ). სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ (იხილეთ პარაგრაფი 32 ზემოთ). სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს ეროვნული სასამართლოების მიერ ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველს (see *Mikhaniv v. Ukraine*, no. 75522/01, § 83, 6 ნოემბერი 2008).

69. დასადგენია არსებობდა თუ არა თვითნებური გარემოება 2014 წლის 4 ივლისის მომჩივნის დაკავების დროს. დაკავება იქნება „თვითნებური“, როდესაც მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებისა, ხელისუფლებას აქვს არაკეთილსინდისიერი განზრახვა ან მოტყუების მცდელობა (იხილეთ *S., V. and A. v. Denmark*, ციტირებულია ზემოთ, §§ 75-76, ; ამასთან იხილეთ *Mooren v. Germany* [GC], no. 11364/03, §§ 77-79, 9 ივლისი 2009; *Magnitskiy and Others*, § 198 და *Korban*, § 145, ციტირებულია ზემოთ). ამ კუთხით, მომჩივნის საჩივრის ძირითადი არსი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ის დატოვებულ იქნა პატიმრობაში, მიუხედავად იმისა, რომ ორი დღით ადრე, 2014 წლის 2 ივლისს მიეცა გირაოს გარეშე გათავისუფლების შესაძლებლობა (იხილეთ, მე-17 პარაგრაფი).

70. სასამართლოს ანტერესებს გაამახვილა თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლომ საკმარისი ყურადღება მომჩივნის პირად მდგომარეობაზე. კერძოდ, იყო თუ არა სასამართლოს მიერ დადგენილი მიზეზები შესაბამისი და საკმარისი მომჩივნისთვის წინასწარ პატიმრობის შესაფარდებლად, ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს მე-5 § 3 ნაწილის შესაბამისად (იხილეთ *De Jong, Baljet and Van den Brink v. the Netherlands*, 22 მაისი 1984, § 44, Series A no. 77; *Khodorkovskiy v. Russia*, no. 5829/04, §§ 161 and 163, 31 მაისი 2011; *Mikiashvili v. Georgia*, no. 18996/06, § 94, 9 ოქტომბერი 2012; და *Vaščenkovs v. Latvia*, no. 30795/12, § 42, 15 დეკემბერი 2016). ეს საკითხი მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნება განხილული (იხილეთ პარაგრაფები 100-105). ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ვერ დავასკვნით, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება იყო

იმგვარად ხარვეზიანი, რომ ექვის ქვეშ დაეყენებინა მისი კანონიერება მე-5 § 1 მუხლის საფუძველზე (განასხვავეთ *Lutsenko v. Ukraine*, no. 6492/11, §§ 67-72, 3 ივლისი 2012, და *Tymoshenko v. Ukraine*, no. 49872/11, §§ 269-70, 30 აპრილი 2013; იხილეთ ასევე *Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, no. 37048/04, § 74, 13 იანვარი 2009).

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2014 წლის 2 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მომჩივანი გათავისუფლდა გირაოს გარეშე და არ დამდგარა მის მიერ პირადობის მოწმობის და საერთაშორისო პასპორტის ჩაბარების საჭიროება. აღნიშნული მხოლოდ ერთი დღით უსწრებდა წინ მის დაკავებას (იხ. პუნქტი 17). მომჩივანი არ დავობდა, რომ მისთვის წარდგენილი ბრალდებები ორივე შემთხვევაში იდენტური იყო (შეადარეთ *Mikhaniv*, ციტირებულია ზემოთ, § 85; contrast *Dubinskiy v. Russia*, no. 48929/08, § 43, 3 ივლისი 2014; *Korban*, ციტირებულია ზემოთ, § 149; *I.E. v. the Republic of Moldova*, no. 45422/13, §§ 64-65, და 67, 26 მაისი 2020; და *Cosovan v. the Republic of Moldova*, no. 13472/18, § 99, 22 მარტი 2022). ამავედროულად, სასამართლო რელევანტურად მიიჩნევს მთავრობის არგუმენტებს, რომელთა თანახმად, სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის პერიოდში, სულ მცირე სამი ახალი ფაქტი გამოიკვეთა, რამაც შესაძლებელია შეცვალა მომჩივნის მდგომარეობა და ეროვნული სასამართლოები მართლაც დაეყრდნენ ამ გარემოებებს (იხილეთ პარაგრაფები 29-32). მოწმე ამტკიცებდა, რომ მომჩივანი მასზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა (იხ. პარაგრაფი 22), ახალი ბრალდებები მას წაუყენეს მეოთხე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში (იხ. პუნქტი 24; განასხვავეთ *Korban* §§ 148-49), მომჩივანი ცდილობდა ქვეყნის დატოვებას, მიუხედავად იმისა, რომ დაბარებული იყო გამომძიებლის მიერ (ibid. §§ 41-42; ასევე იხილეთ *Mikhaniv*, ციტირებულია ზემოთ, §§ 81-89).

72. სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი ამოცანა არ არის პროკურატურის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პროცესში არჩეული სტრატეგიის შეფასება, მაშინაც კი, თუ არსებობს გარკვეული კითხვები მის გონივრულობასთან დაკავშირებით. სასამართლო არ იზიარებს, რომ ზემოთ აღწერილი გარემოება მაჩვენებელია იმისა, რომ მომჩივნისთვის მეოთხე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში წაყენებული ბრალდების მიზანი, 2014 წლის 2 ივლისის მომჩივნის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებისთვის გვერდის ავლა იყო (განასხვავეთ *Korban* ციტირებულია ზემოთ, § 150). შესაბამისად, ევროსასამართლოს არ მიაჩნია, რომ 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება მომჩივნის პატიმრობის შესახებ არაკეთილსინდისიერად იქნა მიღებული (შეადარეთ *Khodorkovskiy*, ციტირებულია ზემოთ §§ 142-43).

73. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 § 1 მუხლის დარღვევას მომჩივნის დაკავების და მისი შემდგომი წინასწარი პატიმრობის განმავლობაში 2014 წლის 3 ივლისიდან 2015 წლის 2 აპრილამდე.

**2. კონვენციის მე-5 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა 2015 წლის 2 აპრილიდან 17 სექტემბრამდე მომჩივნისთვის წინასწარ პატიმრობის შეფარდების გამო**

**(ბ) სასამართლოს შეფასება**

77. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივრის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი დაკავება 2015 წლის 2 აპრილს, მეხუთე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, კონკრეტულად კი 2015 წლის 2 აპრილიდან 17 სექტემბრამდე იყო „უკანონო“, რადგან სავარაუდოდ, ის არ იყო შესაბამისობაში „კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან“ შესაბამისად, იყო თვითნებური, რადგან თავად ეს პროცედურა არ იყო საკმარისად ზუსტი და განჭვრეტადი.

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Akhalaia v. Georgia* (dec.), nos. 30464/13 and 19068/14, § 46, 7 იენისი 2022), რომელიც ეხებოდა მომჩივნის წინასწარ პატიმრობას ორი პარალელური სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, 2013 წლის მარტიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, როდესაც აღკვეთი ღონისძიების - პატიმრობის შესახებ იგივე ეროვნული კანონი მოქმედებდა როგორც მოცემულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205 § 1 მუხლით დადგენილი პატიმრობის 9 თვე ცალკეულ, პარალელურ ან თანმიმდევრულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, იმ დროისთვის შესაბამისობაში იყო ეროვნულ კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მომჩივნს საქმეზე დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებსაც ეფუძნებოდა მომჩივნის წინააღმდეგ გამოტანილი განჩინება პატიმრობის შესახებ უნდა ყოფილიყო განმარტებული კონსტიტუციის შესაბამისად. კონსტიტუცია კრძალავდა აღკვეთი ღონისძიების - პატიმრობის 9 თვიანი ვადით მანიპულაციას და მის ხელოვნურად გაგრძელებას ფორმალურად კანონიერი საფუძვლების გამოყენებით. მაგალითად, მოყვანილი იყო დამატებითი ბრალის წაყენების გაუმართლებელი გაჭიანურება (იხილეთ პარაგრაფები 47-48) ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2015 წლის 17 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი გათავისუფლა და დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის განმარტება ნიშნავდა იმას, რომ მომჩივნის პატიმრობაში დატოვება იყო დაუშვებელი (იხილეთ პარაგრაფი 49).

79. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა 2015 წლის 2 აპრილის შემდეგ ეწინააღმდეგებოდა რელევანტური ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს, თუმცა მოცემულ საქმეში არსებული მთავარი საკითხი უკავშირდება არა კანონიერებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არამედ საკითხს იყო თუ არა მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება მე-5 § 1 მუხლის მიზნებთან შესაბამისი, მისი თვითნებობისგან დაცვის მიზნით. როგორც უკვე აღინიშნა, თვითნებობის ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობით (იხილეთ პარაგრაფი 69).

80. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს მეხუთე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, 2014 წლის 28 ივლისს უკვე ჰქონდა ბრალი წაყენებული (იხილეთ პარაგრაფი 37), შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ წარდგენილ იქნა 2015 წლის 14 მარტს (იხილეთ პარაგრაფი 40), ანუ გამოძიების დაწყებიდან 8 თვის შემდეგ და იმ მომენტამდე, როდესაც მეოთხე სისხლის სამართლის საქმეზე ის-ის იყო იწურებოდა პატიმრობის მაქსიმალური ვადა (იხილეთ პარაგრაფი 29; შეადარეთ *I.E. v. the Republic of*

*Moldova*, ციტირებულია ზემოთ, § 66; განსახვავეთ *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ, § 203; და შეადარეთ და განსახვავეთ *Akhalaia*, ციტირებულია ზემოთ, პარაგრაფი 47). მთავრობამ ვერ შეძლო გაემართლებინა ეს ვადა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელმაც მომჩივნის საქმეში ხაზი გაუსვა პატიმრობის ვადას, როგორც მნიშვნელოვან გარემოებას იმის დასადგენად, რომ ხდებოდა პატიმრობის კანონიერი მაქსიმალური ვადის გამოყენებით მანიპულირება, თვითნებობის აკრძალვის საწინააღმდეგოდ.

81. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების უფლების და „სწრაფი მართლმსაჯულების“ მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, პერიოდი რომელიც ბრალდებულმა გაატარა წინასწარ პატიმრობაში რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული სხვა წინასწარი პატიმრობის ვადის გასაზღვრის დროს. 2015 წლის 17 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განმარტა იმგვარად, რომ ის კრძალავდა მომჩივნის წინასწარ პატიმრობაში დატოვებას (იხილეთ პარაგრაფი 49).

82. 2014 წლის 28 ივლისიდან 2015 წლის 2 აპრილამდე, როდესაც ორივე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება პარალელურად მიმდინარეობდა და მომჩივანი პატიმრობაში იმყოფებოდა, საგამომიებო ორგანოებს უნდა გამოეჩინათ „განსაკუთრებული წინდახედულება“ (იხილეთ *Idalov v. Russia* [GC], no. 5826/03, § 133, 22 მაისი 2012). მთავრობის არგუმენტი, რომ ხელახალი პატიმრობის შესახებ განჩინება აუცილებელი გახდა იმ პერიოდში მიღებული სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებების განხორციელების გამო, რამაც 2015 წლის 13 მარტს განაპირობა მომჩივნისთვის შეცვლილი ბრალდების წაყენება (იხილეთ პარაგრაფი 38), არ გამომდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 და 20 მარტს მიღებული გადაწყვეტილებებიდან (იხილეთ პარაგრაფები 42 და 43). როგორც ჩანს, ამ სასამართლოებს არ უმსჯელიათ იყო თუ არა ახალი პატიმრობის შესახებ განჩინების მიღება სისხლის სამართლის გამოძიებისას განვითარებული გარემოებების საჭიროებით განპირობებული. მეტიც, სასამართლოებმა არ იმსჯელეს მომჩივნის არგუმენტებზე, რომ არ არსებობდა პატიმრობის საჭიროება და იმაზე თუ რა იდო სასწორზე წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების კუთხით, რაც იყო კონსტიტუციით დადგენილი წინასწარი პატიმრობის, 9 თვიან ვადაზე მეტი ხნით, *დე ფაქტო* გახანგრძლივება. აღნიშნული გამოყენებული ღონისძიების საგამონაკლისო ხასიათიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ვალდებული იყო მეტი წინდახედულება გამოეჩინა (იხილეთ *Sebalj v. Croatia*, no. 4429/09, §§ 192-98, 28 ივნისი 2011). სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ეროვნულ სასამართლოები ვალდებული იყვნენ განესაზღვრათ პატიმრობაში ყოფნის საჭიროება, წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც მათ არ გაუკეთებიათ.

83. ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით თუ როგორ განმარტა საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა 2015 წლის 2 აპრილიდან 17 სექტემბრის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა

კონვენციის მე-5 § 1 მუხლს, რადგან ხელისუფლების ორგანოებმა იმოქმედეს იმგვარად, რომ ვერ უზრუნველყვეს თვითნებობისგან დაცვა.

### **3. კონვენციის მე-5 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა 2014 წლის 4 ივლისის და 2015 წლის 15 მარტის სასამართლო გადაწყვეტილებებში პატიმრობის ხანგრძლივობის არ განსაზღვრის გამო**

84. მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი წინასწარი პატიმრობის ვადა არ იყო შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან, რადგან სასამართლოების გადაწყვეტილებები არ აკონკრეტებდა გამოყენებული პატიმრობის ხანგრძლივობას.

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი უკვე განიხილა საქმეში *Merabishvili* (ციტირებულია ზემოთ) და დაადგინა, რომ იმ პერიოდში მოქმედი ქართული საპროცესო სამართლის და პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, აღნიშნული პრაქტიკა შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-5 §1 მუხლთან (*ibid.* §§ 197-201; ასევე იხილეთ *Oravec v. Croatia*, no. 51249/11, § 55, 11 ივლისი 2017). ერთადერთი გარემოება რაც განასხვავებს მოცემულ საქმეს *Merabishvili*-ის საქმისგან არის ის, რომ წინამდებარე საქმეში მომჩივანი ორჯერ იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, ორი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე. თუმცა, ეს საკითხი უკვე იყო სასამართლოს მიერ სრულად განხილული (იხილეთ პარაგრაფები 77-83).

87. ევროსასამართლო პრეცედენტული სამართლის მხედველობაში მიღებით ადგენს, რომ 2014 წლის 4 ივლისის და 2015 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც არ განსაზღვრავდნენ პატიმრობის ხანგრძლივობას, არ დარღვეულა კონვენციის მე-5 § 1 მუხლი.

### **III) კონვენციის მე-5 მუხლის სხვა სავარაუდო დარღვევები**

88. მომჩივანი დავობდა, რომ 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ძალაში დატოვა მისი პატიმრობის შესახებ განჩინება, გამოცხადდა ზეპირად და არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

ამასთან, ის აცხადებდა, რომ 2015 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისად დასაბუთებული. ამასთან, მომჩივანი დავობდა, რომ მას არ მიეცა საკუთარი ინტერესების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა 2014 წლის 4 ივლისის სასამართლო სხდომაზე, რადგან დაკავებისთანავე არ მიეცა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა და დაგვიანებით მიეწოდა სისხლის სამართლის საქმის მასალები. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს.

#### **(გ) სასამართლოს შეფასება**

98. კონვენციის მე-5 § 1 მუხლის რელევანტური ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეებში *Buzadji v. the Republic of Moldova* ([GC], no. 23755/07, §§ 84-102, 5 ივლისი 2016) და *Merabishvili* (ციტირებულია ზემოთ, §§ 222-25; ასევე იხილეთ *Hasselbaink v. the Netherlands*, no. 73329/16, §§ 69-73, 9 თებერვალი 2021).

99. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მხედველობაში მისაღები ვადის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი უკავშირდება მომჩივნის წინასწარი პატიმრობის თავდაპირველ პერიოდს, რომელიც მისი დაკავების საფუძველზე 2014 წლის 3 ივლისს დაიწყო. სასამართლოს სთხოვენ შეაფასოს რამდენად იყო მომჩივნის მე-5 § 1 მუხლით გათვალისწინებული უფლება დაცული იმ მომენტამდე, როცა 2015 წლის 2 აპრილს, მისი დაკავება წინააღმდეგობაში მოვიდა კონვენციის მე-5 § 1 მუხლთან (იხილეთ პარაგრაფი 90). შესაბამისად, შესაფასებელია ჯამში 9 თვე.

100. მოცემულ საქმეში სასამართლომ უკვე იმსჯელა, რომ არსებობდა საკმარისი ფაქტები და ინფორმაცია მომჩივნის პირველ წინასწარ პატიმრობაში დატოვების მიზნით, როგორც ეს დაადგინა თბილისის საქალაქო სასამართლომ (იხილეთ პარაგრაფი 67). სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი. გარდა იმისა, რომ არსებობდა გონივრული ეჭვი რომ მან ჩადინა დანაშაული, პატიმრობის განჩინებაში, რომელიც ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ხელისუფლებამ მიუთითა შემდეგ სამ საფუძველზე: (i) მიმალვის საფრთხეზე, დანაშაულის და შესაძლო სასჯელის სიმძიმეზე (ii) ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მხედველობაში მიღებით, რადგან მას უკვე ჰქონდა დანაშაული ჩადენილი სხვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგების საფუძველზე და (iii) არსებობდა მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხე. ამ უკანასკნელთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა მომჩივნის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელის შეშლის და მოწმეებზე ზემოქმედების განხორციელების რეალური საფრთხე, მისი ბუნების და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ერთხელ ის უკვე ეცადა ზემოქმედება მოეხდინა ერთ-ერთ მოწმეზე.

101. მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ უმსჯელია პროკურატრის ყველა არგუმენტის გარშემო, თუმცა სასამართლომ მიუთითა ბრალდების მხარის შუამდგომლობაზე. ამ მხრივ, სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წამოყენებული არგუმენტები და მიიჩნია, რომ ისინი იყო საკმარისი მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის შესაფარდებლად. მიუხედავად იმისა, რომ სასურველი იყო უფრო დეტალური ანალიზი, სასამართლოსთვის მისაღებია, რომ ის საკმარისი იყო მოცემულ გარემოებებში რადგან მხედველობაში იქნა მიღებული კონკრეტული საფუძველები. როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, ეროვნულ სასამართლოებს არაფერი უშლით ხელს დაეთანხმონ ან მიუთითონ უშუალოდ იმ საფუძველებზე, რომლებიც მოთხოვნილია ხელისუფლების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნისას (იხილეთ *Merabishvili*, ციტირებულია § 227).

102. საქმის მასალების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაში ასახული იყო კონკრეტული ფაქტები და მომჩივანთან დაკავშირებული გარემოებები, რაც ამართლებდა მისთვის პატიმრობის შეფარდებას, რადგან არსებობდა მიმალვის საფრთხე. ბრალდების მხარემ მიუთითა მომჩივნის ბუნებაზე და საზღვარგარეთ ფართო საკონტაქტო ქსელის არსებობაზე. მათ აღნიშნეს, რომ მომჩივნის დაკავება მოხდა აეროპორტში, როდესაც ის თვითმფრინავით კიევში გაფრენას ცდილობდა.



თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნა მეოთხე სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელს არ მიაწოდა განახლებული ინფორმაცია კიევში დაგეგმილი მგზავრობის შესახებ (იხ. პარაგრაფი 31 ზემოთ). იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს მსჯავრდების შემთხვევაში მძიმე სასჯელი ემუქრებოდა, აჩვენებს, რომ იმ პერიოდში რისკი იმისა, რომ ის მიიმალებოდა იყო საკმარისად რეალური და ვერ მოხდებოდა აღნიშნულის აღკვეთა სხვა უფრო ნაკლებად შემზღვევადი ღონისძიების გამოყენებით.

103. სასამართლო იზიარებს, რომ მომჩივნის მიერ გამოძიებისთვის დაბრკოლებების შექმნის საფრთხე, მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენის კუთხით დასაბუთებულია. იმის მხედველობაში მიღებით, რომ მას სავარაუდოდ ჰქონდა დიდი გავლენა ქართული საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სექტორზე. ამასთან, სავარაუდოდ სამართალწარმოების განმავლობაში არსებობდა კონკრეტული ინციდენტი, როდესაც ის ცდილობდა მთავარ მოწმეზე ზემოქმედების განხორციელებას (იხილეთ 22 პარაგრაფი)

104. რაც შეეხება ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მომჩივანს ბრალი წაუყენეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელსაც სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მომჩივანი სხვა სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში გირაოთი იყო გათავისუფლებული (იხილეთ პარაგრაფი 24).

105. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მთლიანობაში 2014 წლის 4 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოყვანილი გარემოებები არის რელევანტური და საკმარისად დასაბუთებული, დასაწყისში მომჩივნის პატიმრობაში დასატოვებლად.

106. რაც შეეხება საკითხს, იყო თუ არა დროის გასვლის შემდეგ მომჩივნის პატიმრობაში დატოვება გამართლებული, სასამართლო უპირველეს ყოვლისა მიუთითებს მომჩივნის არგუმენტზე, რომ 2015 წლის 18 თებერვალს, მოსამართლემ მხოლოდ ზეპირად დაასაბუთა მომჩივნის გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ უარი. მაშინ როდესაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ვალდებული იყო თავისი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით დაესაბუთებინა. მთავრობა ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილების ზეპირი ფორმით მიღება სრულ შესაბამისობაში იყო იმ პერიოდის სასამართლო პრაქტიკასთან.

107. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ წარმოადგინა 2015 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერი, რომელიც სრულად ასახავდა საქმის განმხილველი მოსამართლის მირ მომჩივნის გათავისუფლების შესახებ მოთხოვნის დასაბუთებას. ამგვარად, Merabishvili საქმისგან განსხვავებით, რომელიც საერთოდ არ იყო დასაბუთებული (ციტირებულია § 233) სასამართლო შეაფასებს საქმის განმხილველი მოსამართლის ზეპირი არგუმენტების რელევანტურობას მომჩივნის პატიმრობის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით. იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ მომჩივანს და მის ადვოკატებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეყენებინათ აუდიო ჩანაწერი სამართალწარმოების განმავლობაში, რომელშიც საქმის განმხილველი მოსამართლემ წინასწარ

პატიმრობაში დატოვა მომჩივანი, მოცემულ გარემოებებში, სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტაციას, რომ სასამართლოში საქმის განხილვის მოცულობა, რომელიც ასახული იყო აუდიო ჩანაწერზე, შესაძლებელი იყო ჩაენაცვლებინა წერილობითი გადაწყვეტილება.

108. მომჩივნის გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს მიერ მოყვანილი არგუმენტაციის მხედველობაში მიღებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მომჩივანი და ბრალდების მხარე ძირითადად უთითებდნენ იმ სამ ძირითად საფრთხეზე - ბრალდებულის მიმალვა, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, ახალი დანაშაულის ჩადენა, რომელიც უკვე ჰქონდათ გაცხადებული 2014 წლის 4 ივლისს (იხილეთ პარაგრაფები 33-34). პროკურატურის მიერ გაკეთებული ერთადერთი ახალი არგუმენტი იყო მომჩივნის მიერ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე, რაც გაიზარდა მას შემდეგ, რაც პროკურატურის მიერ მოწმეები იქნენ იდენტიფიცირებულები და სასამართლოში დაბარებულები. მომჩივნის არგუმენტი იყო ის რომ გამოძიება უკვე დასრულებული იყო. ყველა ამ არგუმენტმა გავლენა იქონია წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებულობაზე, რადგან არც ერთი მათგანი არ იყო უსაფუძვლო. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა მათგანი იყო 2014 წლის ივლისში მიღებული არგუმენტაციის მსგავსი, ანუ იმის რაც არსებობდა 7 თვით ადრე, თითოეული მათგანი საჭიროებდა ხელახალ შეფასებას, რადგან მათი ხასიათიდან გამომდინარე, მიზეზები რომლებიც თავდაპირველად იყო მოყვანილი წინასწარი პატიმრობის გამოყენების გასამართლებლად შესაძლებელია შეიცვალოს დროის გასვლასთან ერთად (იხილეთ *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ, § 232).

109. როგორც სასამართლომ წინა პარაგრაფებში აღნიშნა, ბრალდების მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც არსებობდა მომჩივნისთვის წაყენებული ბრალდების სიმძიმის მხედველობაში მიღებით, იყო საკმარისი და რელევანტური მომჩივნის თავდაპირველ წინასწარ პატიმრობაში დატოვების გასამართლებლად (იხილეთ სასამართლოს დასაბუთება პარაგრაფებში 100-105) თუმცა, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დროის გასვლასთან ერთად, მისი ოჯახური მდგომარეობის და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გამო, მისი მიმალვის საფრთხე არარელევანტური გახდა (შეადარეთ *Darvas v. Hungary*, no. 19547/07, § 27, 11 იანვარი 2011) მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია შეიძლებოდა თუ არა მიმალვის საფრთხის აღმოფხვრა სხვა ღონისძიების გამოყენებით მაგალითად, პასპორტის ჩამორთმევით იმისათვის, რომ მისთვის ხელი შეეშალათ ქვეყნის დატოვებაში (იხილეთ *Magnitskiy and Others*, ციტირებულია ზემოთ § 219, ამასთან იხილეთ *Cosovan*, ციტირებულია ზემოთ § 98).

110. მეტიც, მსჯელობა იმაზე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში მომჩივანი ხელს შეუშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებას, მოითხოვდა ახალ დასაბუთებას იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ახალი გარემოებები როგორცაა პროგრესი გამოძიების მიმართულებით, (იხილეთ *Darvas*, ციტირებულია , § 26) თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ მიუთითა იმ არგუმენტებზე რაც ასახული იყო 2014 წლის 4 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილებაში. სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითება მხოლოდ ადრე მიღებული

წინასწარი პატიმრობის შესახებ მიღებულ განჩინებაზე არ იყო საკმარისი, რადგან ადრინდელი განჩინება მხედველობაში არ იღებდა იმ ახალ გარემოებებს, რომელსაც ემყარებოდა მომჩივნის მოთხოვნა მისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმების შესახებ. სასამართლო იზიარებს იმ არგუმენტს, რომ არსებობდა მოწმეებზე ზემოქმედების რისკი მანამ, სანამ მოწმეები ჩვენებას მისცემდნენ სასამართლოში (იხ. მაგალითად, *Khodorkovskiy*, ციტირებულია, § 192). მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლო დაეყრდნო სწორედ ამ არგუმენტს, ისე რომ არ გაუმყარებია ის რაიმე რელევანტური ფაქტობრივი გარემოებით, მხოლოდ არაპირდაპირ აღნიშნა, რომ მომჩივანი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში მანამ, სანამ ბრალდების მხარის მოწმეები არ დაიკითხებოდნენ სასამართლოში.

111. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარი არ დაუჭირა პრეზუმციას გათავისუფლების სასარგებლოდ (იხილეთ *Buzadji*, ციტირებული, § 89), როდესაც აღნიშნა, რომ ახალი გარემოებების არ არსებობის გამო წინასწარი პატიმრობა ძალაში უნდა დარჩენილიყო (იხილეთ პარაგრაფები 35-36). სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც დაკავებს თავისუფლების უფლების შეზღუდვად მიიჩნევს და მართლზომიერად მხოლოდ სიღრმისეული და მკაცრად განსაზღვრული საფუძვლების არსებობის დროს მიაჩნევს. ამგვარად, მტკიცების ტვირთი დაეკისრა მომჩივანს, დაკავებულ პირს. სასამართლოს მიერ მსგავსი პრაქტიკა უკვე არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაშიც (მაგალითად, იხილეთ, *Merabishvili*, § 234, and *Magnitskiy and Others*, § 22, ციტირებულია ზემოთ; ამასთან იხილეთ *Komarova v. Ukraine*, no. 13371/06, § 79, 16 მაისი 2013).

112. შეჯამების სახით, სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საკმარისი ყურადღება არ გაამახვილა დროის გასვლის გარემოებაზე და ცალსახად განსაზღვრა, რომ სწორედ მომჩივანს უნდა წარმოეჩინა, რომ მისი დაკავება უკვე აღარ იყო გამართლებული. 2015 წლის 18 თებერვალს სასამართლოს მიერ მოყვანილი არგუმენტაცია უკვე არ იყო საკმარისი მისი წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების გასამართლებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2015 წლის 18 თებერვლიდან მომჩივნის წინასწარი პატიმრობა მეოთხე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში უკვე არ ემყარებოდა საკმარის საფუძვლებს და არღვევდა კონვენციის მე-5 § 3 მუხლს.

113. შესაბამისად, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ისჯელოს მომჩივნის დანარჩენ არგუმენტებზე.

#### **IV. კონვენციის მე-18 და მე-5 § 1 მუხლის სავარაუდო ერთობლივი დარღვევა**

114. მომჩივანი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა ორი სხვადასხვა სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, ხელი შეეშალა მისთვის საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაში და შეეზღუდა მისი პოლიტიკური საქმიანობა. ის დაეყრდნო კონვენციის მე-18 მუხლს.

#### **2. სასამართლოს შეფასება**

##### **(ა) ზოგადი პრინციპები**

120. ზოგადი პრინციპები ჩამოყალიბებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებში *Merabishvili v. Georgia* (ციტირებულია ზემოთ, §§ 287-317) და *Navalnyy v. Russia* ([GC], nos. 29580/12 and 4 others, §§ 164-65, 15 ნოემბერი 2018), კერძოდ, კონვენციის მე-18 მუხლის მიზანია აღკვეთოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (იხილეთ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (დარღვევასთან დაკავშირებული პროცედურა) [GC], No. 15172/13, § 189, 2019 წლის 29 მაისი). მე-18 მუხლი არ ადგენს მხოლოდ ამკრძალავი დებულებების ფარგლებს, არამედ ის ნათლად უკრძალავს მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების იმ მიზნით შეზღუდვას, რაც არ არის გათვალისწინებული უშუალოდ კონვენციით. ამდენად, ის ავტონომიური ხასიათისაა (იხ. *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ, §§ 287-88). როგორც სასამართლომ საქმეში *Merabishvili v. Georgia* (ibid. § 291) აღნიშნა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონვენციის უფლების შეზღუდვა დებულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, არ გულისხმობს, რომ წარმოიშობა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა. ამ მუხლის ცალკე განხილვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა განხორციელდა ისეთი მიზნით, რაც არ არის კონვენციით გათვალისწინებული და ირკვევა, რომ ის საქმის ფუნდამენტური ასპექტია. თუმცა, როდესაც არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, საჭიროა იმ საკითხის შეფასება ხომ არ არსებობს რაიმე სხვა ფარული განზრახვა (იხილეთ *Navalnyy*, ციტირებულია ზემოთ, § 166). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვა ემსახურება კონვენციით განსაზღვრულ მიზანს, აღნიშნული ავტომატურად არ გამორიცხავს მე-18 მუხლის დარღვევას. სხვაგვარი განამარტებით ეს დებულება დაკარგავდა თავის ავტონომიურ ხასიათს (იხილეთ *Merabishvili*, § 304).

121. ზოგჯერ უფლება იზღუდება მხოლოდ იმ მიზნით, რაც არ არის კონვენციით გათვალისწინებული. თუმცა, თანაბრად შესაძლებელია შეზღუდვა განხორციელდეს ფარული მიზნით, ისევე როგორც კონვენციით განსაზღვრული მიზნით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია შეზღუდვა მრავალი სხვადასხვა მიზნით მოხდეს. ამ დროს დასადგენია კონვენციით განსაზღვრული მიზანი გამორცხავს თუ არა ფარულ მიზანს, არღვევს თუ არა ფარული მიზნის არსებობა მე-18 მუხლს, ან ხომ არ არსებობს შუალედური პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით (ibid., § 292).

122. რომელი მიზანია უპირატესი, დამოკიდებულია საქმეში არსებულ სხვადასხვა გარემოებაზე. შეფასების დროს სასამართლო მხედველობაში მიიღებს სავარაუდო ფარული მიზნის ხასიათს და მოცულობას, გაითვალისწინებს იმას, რომ კონვენცია შემუშავდა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს და შეინარჩუნოს დემოკრატიული საზოგადოების ის იდეები და ღირებულებები რომელთა საფუძველია კანონის უზენაესობა. იმის შეფასება, თუ რომელი მიზანი იყო უპირატესი, შესაძლებელია დროთა განმავლობაში დაექვემდებაროს ცვლილებებს (ibid., §§ 307-08).

### **(ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში**

123. მომჩივნის საჩივრის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი ორ ეპიზოდური წინასწარი პატიმრობა მიზნად ისახავდა მისთვის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის შეზღუდვას, კონვენციის მე-18 და მე-5 მუხლების ერთობლივი დარღვევით. პოლიტიკური და სასამართლო პროცესები ფუნდამენტურად განსხვავებულია, სასამართლომ გადაწყვეტილება

უნდა დააფუძნოს „მტკიცებულებებს, მათი სამართლებრივი გაგებით“, იმ კრიტერიუმების შესაბამისად რაც ასახულია საქმეში *Merabishvili v. Georgia* (ციტირებულია ზემოთ §§ 309-17) და რელევანტური ფაქტების საკუთარი შეფასებით (იხილეთ *Khodorkovskiy*, § 259; *Ilgar Mammadov*, § 140; და *Rasul Jafarov*, § 155, ყველა გადაწყვეტილება ციტირებულია ზემოთ).

124. სასამართლო თავდაპირველად ხაზს უსვამს მის მიერ გამოტანილ დასკვნას, რომ 2015 წლის 2 აპრილის შემდეგ, წინასწარი პატიმრობის განმავლობაში, მომჩივანი არ იყო დაცული თვითნებობისგან (იხ. პარაგრაფი 83 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ვერ დაასაბუთა, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში მომჩივნის დაკავება შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლს, ეს იმთავითვე არ არის საკმარისი დასკვნისთვის, რომ მე-18 მუხლიც დაირღვა (იხ. *Merabishvili*, ციტირებული ზემოთ, §§ 303-05; აგრეთვე *Navalny*, ციტირებულია ზემოთ, § 166, და *Kavala v. Turkey*, No. 28749/18, §§ 218-19, 2019 წლის 10 დეკემბერი). რადგან საჭიროა იმის დადგენა არსებობდა თუ არა იდენტიფიცირებადი ფარული მიზანი.

125. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ 2014 წლის 3 ივლისიდან 2015 წლის 2 აპრილამდე, მომჩივანი დააკავეს და დააპატიმრეს „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო (იხ. პუნქტი 67 ზემოთ). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომჩივანს თავისუფლება შეეზღუდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(c) პუნქტით გათვალისწინებული მიზნის შესაბამისად. მე-18 მუხლის ფარგლებში საჩივრის განხილვის დროს, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა უფლების შეზღუდვას ფარული მიზანი, რაც არ იყო გათვალისწინებული კონვენციის მე-5 მუხლით და თუ ეს მართლაც ასე იყო, წარმოადგენდა თუ არა ფარული მიზანი უპირატეს მიზანს მომჩივნის თავისუფლების შეზღუდვის დროს (იხ. *Merabishvili*, ციტირებული ზემოთ, §§ 318-54).

ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ მე-18 მუხლის საფუძველზე, არ არსებობს მტკიცებულებების ან სპეციალური მტკიცებულებითი სტანდარტის გამოყენების საფუძველი (იხილეთ *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ § 316), საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ფარული მიზანი შეიძლება ყოველთვის ვერ დამტკიცდეს კონკრეტულ მტკიცებულებაზე მითითებით, რაც ნათლად ავლენს რეალურ მიზეზს (მაგალითად, წერილობითი დოკუმენტი *Gusinskiy v. Russia* საქმეში (no. 70276/01, ECHR 2004-IV), ცალკეული იზოლირებული ინციდენტი როგორც ეს იყო საქმეში *Merabishvili* (ციტირებულია ზემოთ), ან ფაქტი, რომ მომჩივანი გამოიკითხა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც არ იყო დაკავშირებული მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან (იხილეთ *Kavala*, ციტირებულია ზემოთ).

126. მოცემულ საქმეში, ევროსასამართლო ვერ გაიზიარებს მომჩივნის არგუმენტს, რომ მისი თავდაპირველი დაკავების და წინასწარი პატიმრობის ვადა, უნდა განიმარტოს როგორც სავარაუდო ფარული მიზნის მაჩვენებელი. მომჩივანი მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში ბრალის წარდგენისთანავე. ამ კუთხით, არაფერი ყოფილა მოულოდნელი (განასხვავეთ *Kavala*, § 225-28, და *Korban*, § 218, ორივე ციტირებულია ზემოთ). სადავარაუდო დანაშაულის ჩადენასა და სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებას შორის, რა დროსაც მომჩივანი მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში, ვადა არ იყო გადაჭარბებული (იხ. *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, No. 13252/17, § 242, 2021 წლის 13 აპრილი). რაც შეეხება კავშირს მომჩივნის დაკავებისა და მომავალ არჩევნებს შორის, სასამართლო აღნიშნავს, რომ ის ფაქტი, რომ თავად მომჩივანი

არ იყო კანდიდატად წარმოდგენილი, არგუმენტს ნაკლებად დამაჯერებელს ხდის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ის აეროპორტში დააკავეს.

127. მომჩივანმა ასევე მიუთითა მაღალი თანამდებობის მქონე პირების საჯარო გამოსვლებზე, რომლებიც წარმოაჩენდნენ მისი დაკავების ფარულ მიზანს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობის წევრების მიერ მომჩივნების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწამრობის დროს საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს სასამართლო გადაწყვეტილების მიღმა არსებული ფარული მიზნის მაჩვენებელი (იხ. *Kavala*, § 229 და *Merabishvili*, § 324, ორივე ციტირებულია ზემოთ და *Tchankotadze v. Georgia*, No. 15256/05, § 114, 2016 წლის 21 ივნისი) თუმცა, ასეთი განცხადებები შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღმა არსებული ფარული მიზნის მაჩვენებლად, თუკი არსებობს მტკიცებულება, რომ სასამართლოები არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ხელისუფლებისგან (იხ. *Merabishvili*, § 324; აგრეთვე *Batiashvili v. Georgia*, No. 8284/07, § 102, 2019 წლის 10 ოქტომბერი). ამგვარი მტკიცებულება არ ყოფილა საქმეში წარმოდგენილი. სხვადასხვა საჯარო მოხელეების მიერ გაკეთებული სადავო განცხადებები პირდაპირ არ უძლოდა წინ მომჩივნის დაკავებას და წინასწარ პატიმრობას (განასხვავეთ *Kavala v. Turkey*, No. 28749/18, § 229, 10 დეკემბერი 2019 წ.). სასამართლო, რომელმაც მომჩივანს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მანამდე იგი სამჯერ გაათავისუფლა სხვა სისხლის სამართლის საქმეების საფუძველზე (იხ. პუნქტები 8, 11 და 17 ზემოთ). და ბოლოს, იმავე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მომჩივნის დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მომჩივნის საქმეზე (იხილეთ პარაგრაფი 49 ზემოთ).

128. მომჩივანმა ასევე სთხოვა სასამართლოს განეხილა ფაქტები, რომლებიც მის პოლიტიკურ პარტიას უკავშირდებოდა, ანუ ყოფილი მმართველ პარტიას, რომლის წევრ სხვადასხვა ლიდერთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა. სასამართლოს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა საქმეში *Merabishvili v. Georgia* შეეფასებინა საქართველოში არსებული ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც, მმართველმა პარტიამ - ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტში უმრავლესობა 2003 წლის შემდეგ პირველად დაკარგა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი დააკავეს მწვავე პოლიტიკური ანტაგონიზმის ფონზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ახალ მმართველ ძალას - ქართულ ოცნებას შორის, ზოგადი კონტექსტი არ იყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მომჩივნის დაკავების მთავარი მიზანი მისთვის ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეშლა იყო (კონტექსტის დეტალური ანალიზისთვის, იხ. *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ, §§ 320-32; იხილეთ და შეადარეთ *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, Nos. 65583/13 და 70106/13, § 76, 2021 წლის 18 თებერვალი). მომჩივნის არგუმენტების, მისი დაკავების და წინასწარი პატიმრობის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ევროსასამართლოს არ აქვს საფუძველი სხვა დასკვნა გამოიტანოს. ამასთან დაკავშირებით ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის პოზიციაში მყოფი ნებისმიერი პირი შეძლებს წამოაყენოს მსგავსი არგუმენტი და რომ მაღალი პოლიტიკური სტატუსი არ ნიშნავს იმუნიტეტს (იხ. *Khodorkovskiy*, ციტირებულია ზემოთ, § 258). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საქმის ფაქტორივი გარემოებების ერთობლიობა

შესაძლებელია აჩენდეს ეჭვს, რომ მომჩივნის დაკავება განპირობებული იყო მისი პოლიტიკური სცენიდან ჩამოშორების სურვილით, სასამართლო არ იზიარებს, რომ მომჩივანმა შეძლო დასაბუთებული გარემოებების იმგავრად წარმოჩენა, რომ სასამართლოს მოვლენების შესახებ განსხვავებული განმარტება გაეკეთებინა გარდა იმისა, რომ 2014 წლის 3 ივლისსა და 2015 წლის 2 აპრილს შორის პერიოდში მომჩივნის დაკავების უპირატესი მიზანი სისხლის სამართლის გამოძიების შეუფერხებლად განხორციელება იყო.

129. რაც შეეხება 2015 წლის 2 აპრილის შემდგომ პერიოდს, როდესაც მომჩივნის დაკავება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 § 1 პუნქტს (იხ. პუნქტი 83 ზემოთ), მომჩივანმა განაცხადა, რომ რადგან მისი წინასწარი პატიმრობა შესაძლებელია იყო თვითნებური, საკონსტიტუციო სასამართლომ არაპრიდაპირ დაადგინა ფარული მიზნის არსებობა. სასამართლო არ იზიარებს მომჩივნის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამგვარ ინტერპრეტაციას. ამ უკანასკნელმა დაადგინა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, ისე რომ არ განუხილავს მომჩივნის პატიმრობის მიზანი და ფაქტობრივი გარემოებები (იხ. შესაბამისი გადაწყვეტილება, ციტირებულია 48 პუნქტში ზემოთ).

130. სასამართლოს მხედველობის მიღმა არ რჩება ის ფაქტი, რომ მეორე წინასწარი პატიმრობა მოთხოვნილ იქნა მეხუთე სისხლის სამართლის გამოძიებიდან 8 თვის შემდეგ და მანამ, სანამ ამოიწურებოდა მეოთხე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში პატიმრობის მაქსიმალური ვადა (იხილეთ პარაგრაფი 80 ზემოთ). მიუხედავად ამისა, აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდება 9 თვის ვადით დამოუკიდებლად, სხვა სისხლის სამართლის სამართალწარმოების პარალელურად დადგენილი პრაქტიკა იყო (იხილეთ პარაგრაფი 78 ზემოთ) მანამ, სანამ მომჩივნის საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ის არაკონსტიტუციორად არ ცნო (იხილეთ პუნქტი 48 ზემოთ). ბრალდების სიმძიმის მხედველობაში მიღებით, რაც იყო რეალური და არ იყო ცალსახად პოლიტიკური, და ეფუძნებოდა „გონივრულ ეჭვს“ მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის შესაბამისად (იხილეთ და შეადარეთ *Aliyev v. Azerbaijan* Nos. 68762/14 და 71200/14, § 209, 2018 წლის 20 სექტემბერი), სასამართლო ვერ რწმუნდება იმაში, რომ ხელისუფლების ფარული მიზანი მომჩივნის პოლიტიკური სცენიდან ჩამოშორება იყო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მომჩივანს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, თუნდაც ნაწილობრივ თვითნებურად, ავტომატურად არ წარმოაჩენს, რომ ამ ღონისძიების გამოყენების მიზანი მომჩივნის საქართველოს პოლიტიკური სცენიდან ჩამოშორება იყო (შეადარეთ *Merabishvili*, ციტირებულია ზემოთ, §§ 323-32).

131. ზემოაღნიშნული გარემოებები საკმარისია, რათა სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნას, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-18 მუხლი, მე-5 § 1 მუხლთან ერთობლიობაში, 2015 წლის 2 აპრილის შემდეგ მომჩივნის წინასწარი პატიმრობის დროს.

## V. კონვენციის 41-ე მუხლი

### კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა

სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

მომჩივანი ითხოვდა 15.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში მომჩივანს მიადგა არამატერიალური ზიანი კონვენციის მე-5 § 1 და 3 პუნქტების დარღვევიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს იმ პერიოდს რომელზეც იგი დავობდა. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, ევროსასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 10.000 ევრო მიაკუთვნა.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლო ერთხმად ადგენს, რომ**

1. არ დარღვეულა კონვენციის მე-5 § 1 მუხლი მომჩივნის დაკავების და მისი შემდგომი წინასწარი პატიმრობის განმავლობაში 2014 წლის 3 ივლისიდან 2015 წლის 2 აპრილამდე;
2. დაირღვა კონვენციის მე-5 § 1 მუხლი მომჩივნის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამო, 2015 წლის 2 აპრილიდან 17 სექტემბრის განმავლობაში;
3. არ დარღვეულა კონვენციის მე-5 § 1 მუხლი იმის გამო, რომ 2014 წლის 4 ივლისის და 2015 წლის 15 მარტის პატიმრობის შესახებ განჩინებაში ვადა არ იყო განსაზღვრული;
4. დაირღვა კონვენციის მე-5 § 3 მუხლი 2015 წლის 18 თებერვლიდან, როდესაც მომჩივნის წინასწარი პატიმრობა აღარ ემყარებოდა რელევანტურ და საკმარის საფუძველს;
5. არ დარღვეულა კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 § 1 მუხლთან ერთობლიობაში.